



სტრასბურგი, 2024 წლის 25 ივნისი

CDL-AD(2024)021

ორიგინალი შედგენილია ინგლისურად

ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით  
(ვენეციის კომისია)

საქართველო

დასკვნა

ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ  
კონსტიტუციური კანონის პროექტის თაობაზე

მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ,  
კომისიის 139-ე პლენარულ სესიაზე  
(ვენეცია, 2024 წლის 21-22 ივნისი)

ეფუძნება

ქ-ნ რეგინა კინერის (წევრი, შვეიცარია)  
ბ-ნ ტიმ ოტის (წევრი, გაერთიანებული სამეფო)  
ბ-ნ იან ველარსის (წევრი, ბელგია)

მოსაზრებებს

## სარჩევი

I.	შესავალი .....	3
II.	კონტექსტი.....	3
III.	ანალიზი.....	4
A.	მოქმედების სფერო.....	4
B.	კანონშემოქმედებითი პროცესი.....	5
1.	კანონმდებლობით შეიძლება მოწესრიგდეს ქორწინებასთან მიმსგავსებული მხოლოდ იმგვარი ურთიერთობა, რომელიც არანაკლებ 18 წლის ერთი გენეტიკური მამაკაცისა და ერთი გენეტიკური ქალის კავშირს ითვალისწინებს. ....	8
2.	არასრულწლოვანის შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ან ჰეტეროსექსუალი პირის მიერ. ....	10
3.	აკრძალულია ადამიანის სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა.....	10
4.	სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში მიეთითება მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესი, რომელიც მის გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება. ....	12
5.	ბათილია საჯარო ხელისუფლების ან კერძო პირის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებას პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზღუდავს. ....	13
6.	აკრძალოს იმგვარი შეკრება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.....	16
7.	აკრძალულია საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესში იმგვარი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური და ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.....	22
IV.	დასკვნა.....	25

## I. შესავალი

- 2024 წლის 16 აპრილის წერილით, ქალბატონმა ზანდა კალნინა-ლუკაშევიკამ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულების კომიტეტის პრეზიდენტმა (მონიტორინგის კომიტეტი), ითხოვა ვენეციის კომისიის დასკვნა ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტის თაობაზე ([CDL-REF\(2024\)020](#), შემდგომში, “კონსტიტუციური კანონის პროექტი”).
- წინამდებარე დასკვნის მოსამზადებლად მომხსენებლები იყვნენ ქ-ნი რეგინა კინერი, ბ-ნი ტიმ ოტი და ბ-ნი იან ველარესი.
- 2024 წლის 13, 14 და 22 მაისს, ქ-მა კინერმა და ბ-მა ოტიმ, ქ-ნ მარტინა სილვესტრისთან და ქ-ნ ანა კაჩმარიკოვასთან ერთად, რომლებიც სამდივნოს წარმოადგენენ, გამართეს ონლაინ შეხვედრები განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საკითხთა მინისტრთან, სახალხო დამცველის პირველ მოადგილესთან, საპარლამენტო უმრავლესობის და ოპოზიციის წარმომადგენლებთან, დიპლომატიური კორპუსის წევრებთან და აგრეთვე, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კომისია მადლიერებას გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების მიმართ, ონლაინ შეხვედრების ბრწყინვალედ ორგანიზებისთვის.
- წინამდებარე დასკვნა მომზადებულია ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტის ინგლისური თარგმანის საფუძველზე. თარგმანი, შესაძლოა, ზუსტად არ ასახავდეს ორიგინალ ვერსიას, ყველა საკითხთან დაკავშირებით.
- წინამდებარე დასკვნა მომზადდა მომხსენებელთა მოსაზრებებისა და 2024 წლის 13, 14 და 22 მაისს გამართული ონლაინ შეხვედრების საფუძველზე. დასკვნის პროექტი განხილული იქნა ფუნდამენტურ უფლებათა და დისკრმინაციის აკრძალვის ქვეკომისიის შეხვედრაზე, 2024 წლის 20 ივნისს. დასკვნა მიღებული იქნა ვენეციის კომისიის მიერ, კომისიის 139-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2024 წლის 21-22 ივნისი).

## II. კონტექსტი

- კონსტიტუციური კანონის პროექტი პარლამენტში დარეგისტრირდა 2024 წლის 3 აპრილს, 83 პარლამენტარის მიერ („კანონპროექტის ინიციატორები“<sup>1</sup> განმარტებითი ბარათის თანახმად).<sup>2</sup> ეს არ არის მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, თუმცა, როგორც ჩანს, ყველა ინიციატორი/ავტორი მმართველი კოალიციის წევრია, ხოლო ჯგუფი მთლიანად იმ პარლამენტარებისგან შედგება, რომლებიც მმართველი კოალიციის შემადგენლობაში შემავალ პარტიებს მიეკუთვნებიან, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარე და პარტიის ძირითადი ლიდერები.
- იმავე დღეს, მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბ-მა მამუკა მდინარაძემ, რომელიც კონსტიტუციური კანონის პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი/ავტორია, განაცხადა პარლამენტში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ხელახლა

<sup>1</sup> 81 მათგანი განმარტებითი ბარათის თანახმად, „კანონის ავტორებს“ წარმოადგენენ.

<sup>2</sup> ვენეციის კომისია დაეყრდნო საკონსტიტუციო კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის არაოფიციალურ თარგმანს.

ინიციირების თაობაზე, რომელიც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მწვავედ იქნა გაკრიტიკებული და ხანგრძლივი მასობრივი პროტესტები გამოიწვია. ვენეციის კომისიამ გამოსცა სასწრაფო დასკვნა ამ კანონის შესახებ<sup>3</sup> და ამჟამად ამზადებს ორ დასკვნას, რომელიც ეხება ცვლილებებს საარჩევნო კანონმდებლობაში. ეს ცვლილებები ხელისუფლებამ მიიღო იმის გათვალისწინებით, რომ მორიგი არჩევნები 2024 წლის ოქტომბრის ბოლოს გაიმართება.

8. კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციირებამ გამოიწვია შემფოთება საერთაშორისო საზოგადოებაში. 2024 წლის 27 მარტს გამოქვეყნებულ განცხადებაში,<sup>4</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა („კომისარი“) გამოთქვა წუხილი ამ საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ და მის მიერ ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ საზიანო სტერეოტიპებისა და წინასწარ განწყობის გაძლიერების პოტენციალთან დაკავშირებით. მან, აგრეთვე, დაგმო ლგბტი-ფობიით პოლიტიკური მანიპულაცია წინასაარჩევნო პერიოდში.

9. 2024 წლის 25 აპრილის რეზოლუციაში, რომელიც ეხებოდა საქართველოში უცხოურ აგენტთა კანონის ხელახლა ინიციირების ძალისხმევასა და მის მიერ დაწესებულ შეზღუდვებს სამოქალაქო საზოგადოებაზე, ევროპის პარლამენტმა ქართულ ოცნებას მოუწოდა, „უკან წაიღოს შემოთავაზებული კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც ზღუდავს ლგბტი ადამიანების უფლებებს, რაც წარმოადგენს თავდასხმას არა მხოლოდ ლგბტი ადამიანების თემზე, არამედ, აგრეთვე, სიტყვის თავისუფლებაზე და თავისუფალ სამოქალაქო საზოგადოებაზე“.<sup>5</sup>

10. 2024 წლის 13-14 მაისს გამართულ ონლაინ შეხვედრებზე, რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტი იმ საერთო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც გულისხმობს თავდასხმას ე.წ. უცხო გავლენაზე, რაც აგრეთვე ასახულია „გამჭვირვალობის შესახებ კანონში“, რათა მოხდეს ელექტორატის ყურადღების გადატანა უფრო მწვავე სოციალური საკითხებიდან და ქართულ ტრადიციულ საზოგადოებაში გაღვივდეს ჰომოფობიური გრძნობები.

11. ზოგადად, საქართველოს შესახებ ECRI-ის 2023 წლის ანგარიშში და კომისრის 2022 წლის ანგარიშში, რომელიც მომზადდა საქართველოში მისი ვიზიტის შემდგომ, აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში სიძულვილის ენა, მათ შორის, ლგბტი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის წახალისება, იზრდება ონლაინ სივრცეში, კერძო მფლობელობაში არსებულ მედია-სამუშაოებებში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გარკვეულ წევრებს, პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს შორის.<sup>6</sup>

### III. ანალიზი

#### A. მოქმედების სფერო

<sup>3</sup> იხ. ვენეციის კომისია, საქართველო, [CDL-PI\(2024\)013](#), სასწრაფო დასკვნა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე.

<sup>4</sup> საქართველო: ლგბტი ადამიანების და ადამიანის უფლებების დამცველების შევიწროებას და პოლიტიკურ მანიპულაციას ადგილი არ აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში - ადამიანის უფლებათა კომისარი ([coe.int](#))

<sup>5</sup> ევროპის პარლამენტი, 2024 წლის 25 აპრილის რეზოლუცია, რომელიც ეხება საქართველოში უცხოური აგენტების შესახებ კანონის ხელახლა ინიციირების მცდელობებს და სამოქალაქო საზოგადოებაზე კანონით დაწესებულ შეზღუდვებს (2024/2703(RSP)), პ. 18.

<sup>6</sup> ECRI, 2023 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ, მონიტორინგის მეექვსე ციკლი, 2023 წლის 28 მარტი, პუნქტები 33-35; და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, ანგარიში საქართველოში 2022 წლის 21-24 თებერვალს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, 2022 წლის 15 ივლისი, პ.22.

12. კონსტიტუციური კანონის პროექტი ორი მუხლისგან შედგება. მეორე მუხლში მითითებულია, რომ კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, ხოლო პირველი მუხლი ეხება მატერიალურ საკითხებს. ყველა მათგანი გავლენას ახდენს სამართლებრივ ურთიერთობებზე გარდა „გენეტიკურ მამაკაცს“ (რომელსაც დაბადებისას მიენიჭა მამრობითი სქესი) და „გენეტიკურ ქალს“ (რომელსაც დაბადებისას მიენიჭა მდედრობითი სქესი) შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა, მარტოხელა პირების შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის უფლებასა და ყველა გენდერულ იდენტობაზე, გარდა ბიოლოგიური ქალისა და ბიოლოგიური კაცის გენდერული იდენტობისა.

13. კონსტიტუციური კანონის პროექტს თან ერთვის კონსტიტუციის 30-ე მუხლში კონსტიტუციური შესწორება, რომლის თანახმადაც აღნიშნულ მუხლს ემატება შემდეგი პუნქტი: „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“. 30-ე მუხლის მოქმედი ფორმულირება არის შემდეგი: „1. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. 2. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.“

14. ვენეციის კომისიის დასკვნა მოიცავს კონსტიტუციური კანონის პროექტის ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას, მათ შორის, იმ თავისუფალი შეფასების არეზე მითითებით, რომლითაც ინდივიდუალური სახელმწიფოები სარგებლობენ. დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ვენეციის კომისია არ გააკეთებს კომენტარს კანონის პროექტის კონსტიტუციურობაზე, რაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საკითხია.

## **B. კანონშემოქმედებითი პროცესი**

15. 2024 წლის 22 აპრილს დაიწყო საჯარო კონსულტაციები კონსტიტუციური კანონის პროექტის შესახებ და ჩატარდა შეხვედრები როგორც საქართველოს დედაქალაქში, ისე რეგიონებში. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონების პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემაჯამებელი ოქმის (შემდგომში, „შემაჯამებელი ოქმი“) თანახმად, კონსულტაციები ჩატარდა „მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 125-ე მუხლის შესაბამისად“. 13 და 14 მაისს გამართულ ონლაინ შეხვედრებზე, ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა ის ფაქტი, რომ საჯარო დებატების ორგანიზება არ შეესაბამებოდა რეგლამენტირებულ პროცედურას, რადგან ხშირად არ იყო დაცული კონკრეტული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების გარკვეული პერიოდით ადრე ინფორმირების მოთხოვნა.

16. ამას გარდა, შემაჯამებელი ოქმის თანახმად, „შეხვედრებში მონაწილეობდნენ საორგანიზაციო კომისიის წევრები, საქართველოს პარლამენტის წევრები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, პროფესიული საზოგადოება, სამოქალაქო საზოგადოება, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები და სხვა დაინტერესებული პირები“, რაც არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას სექსუალური და გენდერული უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ.

<sup>7</sup> ვენეციის კომისია დაეყრდნო ტექსტის არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც უზრუნველყო ხელისუფლებამ.

17. შემაჯამებელი ოქმის თანახმად, „საყოველთაო-სახალხო განხილვის ფარგლებში გამართული შეხვედრების მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნული კონსტიტუციური კანონების პროექტები ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით დადებითად შეაფასა“, თუმცა, დოკუმენტი არ შეიცავს რაიმე ციფრებს შეხვედრებში მონაწილეობასთან დაკავშირებით და არ უზრუნველყოფს განმარტებას, თუ როგორ იქნა „აბსოლუტური უმრავლესობა“ გამოანგარიშებული.

18. ამას გარდა, კონსტიტუციური კანონის პროექტი შეიცავს სექციას, რომელიც ეხება კონკრეტულად ტექსტის მომზადების პროცესში მიღებულ კონსულტაციებს, რომლის მიხედვითაც მომზადების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია რაიმე სახელმწიფო, არა-სახელმწიფო და/ან საერთაშორისო ორგანიზაციას/ინსტიტუტს, ექსპერტს ან სამუშაო ჯგუფს, არ ჩატარებულა რაიმე შეფასება და არ მომზადებულა კონსტიტუციური კანონის პროექტის მსგავსი კანონების განხორციელების სფეროში გამოცდილების მქონე სხვა ქვეყნების მიმოხილვა.

19. განმარტებითი ბარათი, ასევე, შეიცავს ორ სხვადასხვა სექციას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასების შესახებ. ამ მხრივ, მითითებულია, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტი ემსახურება ქალისა და მამაკაცის კავშირზე დაფუძნებულ ოჯახურ ღირებულებებთან დაკავშირებული არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის მექანიზმების გაძლიერებას. ასევე, მითითებულია, რომ კანონპროექტს არ ექნება რაიმე უარყოფითი გავლენა გენდერულ თანასწორობაზე. თუმცა, ამგვარი განცხადების დასაბუთებისთვის არ არის მოყვანილი რაიმე მტკიცებულება და აგრეთვე, არ არის მითითებული რაიმე ანალიზი, რომელიც ახდენს კონსტიტუციური კანონის პროექტის რეალური გავლენის იდენტიფიცირებას.

20. ამას გარდა, იმ სექციებში, რომლებიც ეხება კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართებას საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან, განმარტებითი ბარათი აცხადებს, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს და რომ იგი შესაბამისობაშია საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზოგადი განცხადებები არ არის დასაბუთებული კანონპროექტის დებულებების რაიმე სამართლებრივი ანალიზით, შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებით.

21. ონლაინ შეხვედრების დროს, საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩატარდა ზემოქმედების შეფასება, თუმცა, აღნიშნული „შიდა-კომიტეტური მოკვლევის“ შემადგენელი ნაწილი იყო და ვერ გახდებოდა საჯარო. ამავდროულად, აღინიშნა, რომ შიდა ანალიზის ფარგლებში შეფასდა კონსტიტუციური კანონის პროექტი ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, განსაკუთრებით, უნგრეთის შესახებ დასკვნებში წარმოდგენილი რეკომენდაციებისა<sup>8</sup> და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში, „ევროპული სასამართლო“)

<sup>8</sup> სავარაუდოდ, იგულისხმება ვენეციის კომისიის დასკვნა უნგრეთთან დაკავშირებით, [CDL-AD\(2021\)050](#), LXXIX აქტის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, რომლითაც ცვლილებები შედის ბავშვთა დაცვის გარკვეულ აქტებში, და [CDL-AD\(2021\)029](#), დასკვნა უნგრეთის პარლამენტის მიერ 2020 წლის დეკემბერში მიღებული კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ.

პრეცედენტული სამართლის (კერძოდ, ბაიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ) გათვალისწინებით.<sup>9</sup>

22. ვენეციის კომისია მიუთითებს საკანონმდებლო პროცესის ხარისხისთვის პროცედურული ელემენტის მნიშვნელობაზე და კერძოდ, სამართლის უზენაესობის საკონტროლო ჩამონათვალის II/A/5 პრინციპზე („კანონშემოქმედების პროცედურები“), რომლის მიხედვითაც კანონის მიღების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული, ინკლუზიური და დემოკრატიული. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებას - და განსაკუთრებით იმ ჯგუფებს, ვისზეც ძირითადად ახდენს შემოთავაზებული ცვლილებები გავლენას - უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა, წარმოადგინონ თავიანთი პოზიცია და, საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობის მიღებამდე უნდა განხორციელდეს ზემოქმედების შეფასებები.<sup>10</sup>

23. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრად უნდა მოქმედებდეს, როდესაც საქმე ეხება კონსტიტუციურ ცვლილებებს,<sup>11</sup> იმის გათვალისწინებით, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტი კონსტიტუციის ინტეგრირებისკენ არის მიმართული და მას თან ახლავს კონსტიტუციის 30-ე მუხლში შესატანი ცვლილებები (ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები). ვენეციის კომისიამ კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ ანგარიშში ხაზი გაუსვა, რომ „იმდენად, რამდენადაც საზოგადოება ფორმირებულია წერილობითი კონსტიტუციის საფუძველზე, დოკუმენტში ცვლილების შეტანის პროცედურა თავისთავად ხდება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი.“<sup>12</sup> კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა კომპლექსური პროცესია, რომელიც როგორც წესი, მოითხოვს გამყარებულ უმრავლესობას, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია,<sup>13</sup> სწორედ იმიტომ, რომ ახალი დებულებების შესახებ ფართო კონსენსუსი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

24. შესაბამისად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, განხორციელდეს ამომწურავი და კარგად დასაბუთებული ანალიზი ეროვნულ სისტემაზე ახალი დებულებების ზემოქმედების შესახებ, მანამ, სანამ მოხდება მათი მიღება, საზოგადოების ყველა სეგმენტის მონაწილეობით, განსაკუთრებით, სექსუალური და გენდერული უმცირესობების წარმომადგენლების, ისევე, როგორც ექსპერტებისა და პროფესიონალების შესაბამის სექტორიდან (სამართალი, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური ზრუნვა და ა.შ.). ასეთი ანალიზი უნდა იყოს საჯარო.

25. ვენეციის კომისია, ასევე, სთავაზობს ხელისუფლებას, ეს ანალიზი ჩაატაროს და გამოაქვეყნოს შესაფერის დროს, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს რეალურ და არსებით კონსულტაციას, რათა შესაძლებელი გახადოს მოცემული საკითხების დაბალანსებული, ამომწურავი და მიუკერძოებელი შეფასება.

26. ქვემოთ წარმოდგენილ სექციებში თანმიმდევრობით არის გაანალიზებული კონსტიტუციური კანონის პროექტის პირველი მუხლის რვა პუნქტი.

<sup>9</sup> ECtHR, Bayev and Others v. Russia, განცხადებები nos. 67667/09, 44092/12 და 56717/12, 2017 წლის 20 ივნისი.

<sup>10</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2016\)007](#), სამართლის უზენაესობის საკონტროლო ჩამონათვალი, პრინციპი II/A/5/iv და v, ასევე, შენიშვნები 32-33.

<sup>11</sup> ვენეციის კომისია, ისლანდია, [CDL-AD\(2013\)010](#), დასკვნა ისლანდიის ახალი კონსტიტუციის შესახებ, პუნქტი 17; უნგრეთი, [CDL-AD\(2011\)001](#), დასკვნა სამი სამართლებრივი საკითხის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია უნგრეთის ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესთან, პუნქტი 18.

<sup>12</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2010\)001](#), ანგარიში კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ, პუნქტები 5-6.

<sup>13</sup> საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლი.

**1. კანონმდებლობით შეიძლება მოწესრიგდეს ქორწინებასთან მიმსგავსებული მხოლოდ იმგვარი ურთიერთობა, რომელიც არანაკლებ 18 წლის ერთი გენეტიკური მამაკაცისა და ერთი გენეტიკური ქალის კავშირს ითვალისწინებს.**

27. პროექტის 1.1 მუხლის თანახმად, „ქორწინების მაგვარი ურთიერთობის“ უფლება ენიჭებათ ჰეტეროსექსუალ წყვილებს, სადაც ერთი „გენეტიკური მამაკაცია“, მეორე კი „გენეტიკური ქალი“. წარმოიჭრება ორი საკითხი, კერძოდ, ერთი მხრივ, რას ნიშნავს ქორწინების მაგვარი ურთიერთობა და რა სახის რეგულირება ვრცელდება ერთნაირსქესიან წყვილებზე, ხოლო მეორე მხრივ, როგორ რეგულირდება ურთიერთობა იმ ადამიანებს შორის, რომელთაც განიცადეს გენდერული ტრანზიციცა.

**a. „ქორწინების მაგვარი ურთიერთობა“ და ერთნაირსქესიანი წყვილები**

28. იმდენად, რამდენადაც დებულების მიზანია, დააწესოს შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც ქორწინება მხოლოდ კაცსა და ქალს შორის კავშირს მოიცავს და შესაბამისად, აკრძალოს ერთნაირსქესიანი წყვილების ქორწინება, აღნიშნული ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაშია, კერძოდ, ECHR-ის მე-12 მუხლთან. ვენეციის კომისია ამ საკითხს უკვე შეეხო წინა დასკვნაში,<sup>14</sup> სადაც იგი მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს („ECtHR“) პრეცედენტულ სამართალზე ამ საკითხთან დაკავშირებით. ECtHR-ი აღიარებს, რომ ქორწინების ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები განიცადა კონვენციის მიღების შემდგომ, თუმცა, არა იმდენად, რომ სასამართლომ სახელმწიფოებს დააკისროს ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის ქორწინებაზე წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულება.<sup>15</sup>

29. ამავდროულად, ტერმინი „ქორწინების მაგვარი ურთიერთობა“ არ არის განსაზღვრული და უფრო ფართო ჩანს, ვიდრე მარტივი „ქორწინება“; ამრიგად, როგორც ჩანს, იგი მიუთითებს სხვა სახის ურთიერთობებზე, როგორცაა, სამოქალაქო პარტნიორობა. ონლაინ შეხვედრების დროს, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული რაიმე სხვა ურთიერთობა, გარდა ქორწინებისა, ჰეტეროსექსუალი ან ჰომოსექსუალი წყვილებისთვის. ამასთან, საქართველოს შესახებ 2023 წლის ანგარიშში, ECRI-მ განაცხადა, რომ „ხელისუფლებას ჯერ-ჯერობით არ გადაუხედავს არსებული კანონმდებლობისთვის, ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით, რათა შეფასდეს თუ სად აწყდებიან პრობლემებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთნაირსქესიანი წყვილები (როგორცაა, საოჯახო სამართალი, სახელშეკრულებო და ქონებრივი სამართალი, მემკვიდრეობითი სამართალი, და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები), ვისთვისაც არ არსებობს საქართველოში ერთნაირსქესიანი პარტნიორობების რეგისტრაციის სამართლებრივი შესაძლებლობა.“<sup>16</sup>

30. ამრიგად, არ არსებობს სამართლებრივი აღიარება წყვილებისა, რომლებიც არ არიან დაქორწინებულები. ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ ECtHR-მა დაადგინა წევრი სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულება, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყონ ერთნაირსქესიანი წყვილების სამართლებრივი აღიარება,<sup>17</sup> რაც ერთნაირსქესიან წყვილებს მიანიჭებს თავიანთი ურთიერთობის ადეკვატურად აღიარებისა

<sup>14</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)029](#), *op. cit.*, პ. 17

<sup>15</sup> ECtHR, *Schalk and Kopf v. Austria*, 2010 წლის 24 ივნისი, საჩივარი no. 30141/04, პუნქტები 61-63; *Chapin and Charpentier v. France*, 2016 წლის 9 ივნისი, საჩივარი no. 40183/07, პ. 48.

<sup>16</sup> ECRI, *op. cit.*, პ. 22.

<sup>17</sup> ECtHR, *Oliari and Others v. Italy*, 2015 წლის 21 ივლისი, საჩივარი nos. 18766/11 და 36030/11, პ. 177.



და დაცვის შესაძლებლობას.<sup>18</sup> ამ მხრივ, ECRI-მ უკვე გასცა რეკომენდაცია, რომ „ხელისუფლებამ გადახედოს არსებულ კანონმდებლობას, იმისათვის, რომ შეაფასოს, თუ სად აწყდებიან პრობლემებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთნაირსქესიანი წყვილები, რათა იდენტიფიცირებულ პრობლემებზე რეაგირება განხორციელდეს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)5 რეკომენდაციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად“.<sup>19</sup>

31. ამას გარდა, თუ აღნიშნული დებულების მიზანია, გზა გაუხსნას განსხვავებული სქესის მქონე დაუქორწინებელი წყვილების სამართლებრივ აღიარებას, ვენეციის კომისია ხაზს უსვამს, რომ ერთნაირსქესიანი წყვილების გამორიცხვა სამოქალაქო ქორწინების რეგისტრაციის შესაძლებლობისგან თავის თავში მოიცავს ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას (დისკრიმინაციის აკრძალვა), წაკითხული მე-8 მუხლთან ერთობლიობაში (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება),<sup>20</sup> რადგან ერთნაირსქესიანი წყვილთა განსხვავებული მოპყრობა, განსხვავებული სქესის მქონე წყვილებთან შედარებით, წარმოადგენს დაუსაბუთებელ დისკრიმინაციას.<sup>21</sup> ზოგადად, განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ სექსუალურ ორიენტაციაზე დაყრდნობით, კონვენციის თანახმად, დაუშვებელია.<sup>22</sup>

32. ამრიგად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, მოხდეს ტექსტის მოდიფიცირება, რათა დაშვებული იქნეს ერთნაირსქესიანი წყვილების სამართლებრივი აღიარება.

#### b. ერთი გენეტიკური მამაკაცისა და ერთი გენეტიკური ქალის კავშირი

33. კონსტიტუციური კანონის პროექტი დაქორწინების უფლებას ანიჭებს ერთი „გენეტიკური“ მამაკაცისა და ერთი „გენეტიკური“ ქალისგან შემდგარ წყვილს. თუ ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთა გენდერული იდენტობაც შეესაბამება დაბადებისას მინიჭებულ სქესს, მათ შორის, პირები, რომელთაც განიცადეს გენდერული ტრანზიციცა, წამოიჭრება კონვენციის მე-12 მუხლთან შესაბამისობის საკითხი.

34. ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ ევროპული სასამართლოს თანახმად, აღარ უნდა ჩაითვალოს, რომ ტერმინები „კაცი“ და „ქალი“ ევროპული კონვენციის მე-12 მუხლში უნდა მიუთითებდეს სუფთა ბიოლოგიური კრიტერიუმების მიხედვით განსაზღვრულ გენდერზე.<sup>23</sup> დამატებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოზე დამოკიდებული ტრანსგენდერთა ქორწინების პირობებისა და ფორმალობების განსაზღვრა, თუმცა, სასამართლოს თანახმად, გაუმართლებელია ტრანსსექსუალებისთვის ნებისმიერ ვითარებაში ქორწინების უფლებით სარგებლობის აკრძალვა.<sup>24</sup>

35. ამრიგად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, კანონპროექტის 1.1 მუხლიდან ამოღებული იქნეს სიტყვები „გენეტიკური“.

<sup>18</sup> ECtHR, *Fedotova and Others v. Russia* ([GC], 2023 წლის 17 იანვარი, საჩივარი nos. 40792/10, 30538/14 და 43439/14, პუნქტები 165 და 178.

<sup>19</sup> ECRI, *ibid.*, პ. 23.

<sup>20</sup> ECtHR, *Vallianatos and Others v. Greece*, 2013 წლის 7 ნოემბერი, საჩივარი nos. 29381/09 და 32684/09, პ. 92.

<sup>21</sup> ECtHR, *Maymulakhin and Markiv v. Ukraine*, 2023 წლის 1 ივნისი, საჩივარი no. 75135/14, პ. 80.

<sup>22</sup> ECtHR, *Macaté v. Lithuania* [GC], 2023 წლის 23 იანვარი, საჩივარი no. 61435/19, პ. 209; და *Maymulakhin and Markin v. Ukraine*, *op. cit.*, პ. 62.

<sup>23</sup> ECtHR, *Christine Goodwin v. the United Kingdom*, 2002 წლის 11 ივლისი, საჩივარი no. 28957/95, პ. 100.

<sup>24</sup> ECtHR, *Christine Goodwin v. the United Kingdom*, *ibid.*, პ. 103.

**2. არასრულწლოვანის შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ან ჰეტეროსექსუალი პირის მიერ.**

36. ეს დებულება შვილად აყვანას ან მინდობით აღზრდას ითვალისწინებს მხოლოდ ქორწინებაში მყოფი წყვილებისთვის ან მარტოხელა ჰეტეროსექსუალებისთვის. შესაბამისად, დაუქორწინებელ წყვილებს ან მარტოხელა გეი, ლესბოსელ ან ბისექსუალ პირებს არ აქვთ უფლება, არასრულწლოვანი შვილად აიყვანონ ან მინდობით აღზარდონ.

37. ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ ითვალისწინებს შვილად აყვანის უფლებას.<sup>25</sup> თუმცა, სახელმწიფოს მიერ ასეთი უფლების მინიჭება იწვევს ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის ამოქმედებას (დისკრიმინაციის აკრძალვა).<sup>26</sup>

38. რაც შეეხება დაუქორწინებელ წყვილებს, ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ კონვენცია სახელმწიფოებს არ ავალდებულებს, მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანის უფლება გაავრცელონ დაუქორწინებელ წყვილებზე.<sup>27</sup>

39. მეორეს მხრივ, თუ მარტოხელა პირს არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის უფლება აქვს, მოქმედებს ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი. ამრიგად, თუ განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება მხოლოდ განმცხადებლის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაშინ კონვენციის შესაბამისად, იგი წარმოადგენს დისკრიმინაციას.<sup>28</sup>

40. ონლაინ შეხვედრების დროს, მონაწილეებმა განმარტეს, რომ ამჟამად ქართული კანონმდებლობით დაუქორწინებელ წყვილებს არ აქვთ შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის უფლება, თუმცა, ეს დაშვებულია ინდივიდებისთვის, მათი სექსუალური ორიენტაციისა და მიუხედავად. ამრიგად, შესაბამისი კონსტიტუციური დებულების მიღების შემთხვევაში, საჭირო იქნება არსებულ კანონმდებლობაში შემზღუდავი მოდიფიკაციების განხორციელება, რაც ევროპულ სტანდარტებთან წინააღმდეგობაში იქნება.

41. ამრიგად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციას, კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.2 მუხლში სიტყვა „ჰეტეროსექსუალი“ ჩანაცვლდეს ტერმინით „მარტოხელა“ ან „ინდივიდი“.

**3. აკრძალულია ადამიანის სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა.**

42. კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.3 მუხლი კრძალავს სამედიცინო ქირურგიულ ჩარევებს სქესის შეცვლის მიზნით. არც კანონპროექტი და არც განმარტებითი ბარათი არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს ტერმინი „აკრძალვა“.

43. ონლაინ შეხვედრების დროს, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა, რომლებიც კონსტიტუციური კანონის პროექტის ხელმომწერები არიან, განმარტეს, რომ აღნიშნულ დებულებას თან დაერთვება ნორმატიული კანონმდებლობა, რომელიც

<sup>25</sup> ECtHR, E.B. v. France [GC], 2008 წლის 22 იანვარი, საჩივარი no. 43546/02, პ. 41.

<sup>26</sup> ECtHR, E.B. v. France [GC], *ibid.*, პ. 48.

<sup>27</sup> ECtHR, X and Others v. Austria [GC], 2013 წლის 19 თებერვალი, საჩივარი no. 19010/07, პ. 136.

<sup>28</sup> ECtHR, E.B. v. France [GC], *ibid.*, პ. 93.

გათვალისწინებს სისხლის სამართლის დანაშაულებსა და შესაბამის სასჯელებს, ამ აკრძალვის დარღვევის შემთხვევებში.

44. რამდენიმე მონაწილემ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ამ მომენტისთვის, სქესის შეცვლის მიზნით სამედიცინო ჩარევები არ არის აკრძალული ან ცალსახად დარეგულირებული საქართველოში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში მისდევნენ სამედიცინო ოპერაციებთან დაკავშირებით მოქმედ ზოგად რეგულაციებს, თუმცა, მხოლოდ რამდენიმე ექიმი ახორციელებს პრაქტიკაში ასეთ ინტერვენციას. ზოგიერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ მაშინაც კი, თუ ნორმატიულ რეგულაციაში არ იქნება გათვალისწინებული რაიმე აკრძალვა, კონსტიტუციურ დებულებას, როგორც ასეთი, ექნება მსუსხავი ეფექტი იმ რამდენიმე ექიმზე, რომლებიც ამჟამად პრაქტიკაში ახორციელებენ ამ სახის ინტერვენციებს და აღნიშნულს შემზღუდავი გავლენა ექნება საერთო სასამართლოებში სამედიცინო ოპერაციების შესახებ რეგულაციის სასამართლო ინტერპრეტაციაზე.

45. ვენეციის კომისიას წინა დასკვნაში<sup>29</sup> ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად, ინდივიდებს აქვთ „თვითიდენტობის უფლება“, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ „დაბადებისას მინიჭებულ სქესს“, არამედ, მათ „გენდერსაც“. ამ მხრივ, არაერთი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულება აღიარებს, რომ თვითიდენტობის ფორმირება, ასევე, ხდება გენდერით, ქალებისა და კაცების სოციალურად კონსტრუქციული მახასიათებლებითა და როლებით.<sup>30</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, გენდერული იდენტობა წარმოადგენს პერსონალური იდენტობის კომპონენტს და ხვდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ქვეშ.<sup>31</sup>

46. ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, იმ კანონის არ არსებობა, რომელიც არეგულირებს სრული სქესის შეცვლის ოპერაციას, წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას იმდენად, რამდენადაც იგი ქმნის შემაშფოთებელი გაურკვევლობის სიტუაციას ადამიანის პირად ცხოვრებასთან და მისი ნამდვილი იდენტობის აღიარებასთან დაკავშირებით.<sup>32</sup> *A fortiori*, ასეთი ქირურგიული ჩარევის აბსოლუტური აკრძალვა („ნებისმიერი სამედიცინო ინტერვენცია“) ვერ იქნება თავსებადი კონვენციის მე-8 მუხლთან. ევროპულმა სასამართლომ, აგრეთვე, განიხილა ასეთი ქირურგიული ოპერაციაზე წვდომის პირობების საკითხი.<sup>33</sup>

<sup>29</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)029](#), *op. cit.*, პ. 36.

<sup>30</sup> ბავშვის უფლებების კონვენციის (CRC) მე-2 მუხლის საფუძველზე, CRC კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა რეაგირება უნდა მოახდინონ ბავშვთა მოწყვლადი ან მარგინალიზებული ჯგუფების დისკრიმინაციაზე, მათ შორის ლესბოსელები, გეი, ტრანსგენდერი ან ტრანსსექსუალი ბავშვების (CRC, ზოგადი კომენტარი №13, ბავშვის უფლება იყოს მალადობის ყველა ფორმისგან თავისუფალი, პუნქტები 60 და 72(ზ)). ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) მე-5 მუხლის და მე-2 (ვ) მუხლის საფუძველზე, CEDAW კომიტეტმა აღიარა, რომ ქალების მიერ განცდილი დისკრიმინაცია „მჭიდროდ არის დაკავშირებული“ სხვა ფაქტორებთან, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალებზე, მათ შორის გენდერული იდენტობა (ზოგადი რეკომენდაცია No27, ხანდაზმული ქალები და მათი უფლებების დაცვა, პუნქტი 13; ზოგადი რეკომენდაცია No. 28, მონაწილე სახელმწიფოების ძირითადი ვალდებულებები CEDAW-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, პუნქტი. 18). CESC-ის მე-2 მუხლის საფუძველზე, CESC კომიტეტმა ცალსახად აღიარა, რომ პირის გენდერული იდენტობა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის (ICESCR) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალულ საფუძველს შორისაა (ზოგადი კომენტარი No. 20 მუხლი 2 (2)), დისკრიმინაციის დაუშვებლობა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებში, პუნქტი 32). დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ *Born free and equal, Sexual Orientation and Gender identity in International Human Rights Law*, გაერო, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2012, ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/Documents/Publications/BornFreeAndEqualLowRes.pdf>.

<sup>31</sup> ევროპის დონეზე, ECtHR, *Van Kück v. Germany*, 2003 წლის 12 ივნისი, საჩივარი no. 35968/97; *A.P., Garçon and Nicot v. France*, 2017 წლის 6 აპრილი, საჩივრები nos. 79885/12, 52471/13 და 52596/13, პუნქტები 95-96. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (ECJ), *P v S and Cornwall County Council*, 1996 წლის 30 აპრილი.

<sup>32</sup> ECtHR, *L. v. Lithuania*, 2007 წლის 11 სექტემბერი, საჩივარი no. 27527/03, პ. 56-57.

<sup>33</sup> მათ შორის, ECtHR, *Van Kück v. Germany*, *op. cit.*, პუნქტები 59 et seq.; ECtHR, *L. v. Lithuania*, *op. cit.*, პ. 59; *Schlumpf v. Switzerland*, 2009 წლის 5 ივნისი, საჩივარი no. 29002/06, პ.107.

47. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, დებულებაში წარმოდგენილი აკრძალვა და აგრეთვე, ნებისმიერი ნორმატიული კანონმდებლობა, რომელიც აბსოლუტურ შეზღუდვას დააწესებს გენდერის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, გამოიწვევს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

48. ამრიგად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, ამოღებული იქნეს კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.3 მუხლი. ეჭვების გასაფანტად უნდა აღინიშნოს, რომ კომისია არ აცხადებს იმას, რომ საკანონმდებლო ორგანო ვერ შეზღუდავს გენდერის შეცვლასთან დაკავშირებულ ქირურგიულ ჩარევას ასაკზე ან სხვა ფაქტორზე მითითებით. არამედ, იგი აცხადებს, რომ არ არის მიზანშეწონილი კონსტიტუციური ინსტრუმენტით *აბსოლუტური* აკრძალვის დაწესება ასეთ ქირურგიულ ჩარევაზე, ნებისმიერ ვითარებაში, როგორც ეს შემოთავაზებულ ფორმულირებაშია.

**4. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში მიეთითება მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესი, რომელიც მის გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება.**

49. კანონპროექტის 1.4 მუხლი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აკისრებს ვალდებულებას, მიუთითონ მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესი, რომელიც გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება. ონლაინ შეხვედრებზე გამართული დისკუსიის გათვალისწინებით, ვენეციის კომისიას ფრაზა „გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება“ ესმის შემდეგნაირად: იგი მიუთითებს მამაკაცის ან ქალის იდენტობაზე, რომელიც დადგენილია პირის დაბადების მოწმობაში (ბიოლოგიური სქესი).

50. ეს ნიშნავს, რომ ტრანსგენდერი, ინტერსქესი და არაბინარული პირები ვერ შეძლებენ მათ მიერ განცდილი გენდერული ტრანზიციის სამართლებრივი აღიარების მოპოვებას, ტრანს-სპეციფიკური სამედიცინო ზრუნვით ან მის გარეშე, რათა მათ მიერ არჩეული სქესი იქნეს მითითებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტებში.

51. ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს შესახებ 2023 წლის ანგარიშში, ECRI-მ ხაზი გაუსვა რეკომენდაციას, რომ „ხელისუფლებამ მკაფიოდ [უნდა] დაარეგულიროს პირის ახალი სქესის ოფიციალური აღიარების პირობები. ასეთი წესები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს“.<sup>34</sup>

52. ჯერ კიდევ 2002 წელს და შემდგომ ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ სამართალში,<sup>35</sup> ევროპული სასამართლო მიიჩნევდა, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, რომელიც გარანტირებულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, მოიცავს სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყონ გენდერული ტრანზიციის სამართლებრივი აღიარება, როგორც იმ ადამიანების შემთხვევაში, რომელთაც ჩაიტარეს გენდერის კვლავინიჭების ოპერაცია,<sup>36</sup> ისე იმ ადამიანებისთვის, ვისაც ასეთი ოპერაციის ჩატარება არ სურს.<sup>37</sup>

<sup>34</sup> ECRI, *op. cit.*, პ. 26.

<sup>35</sup> ECtHR, *Christine Goodwin v. the United Kingdom*, *op. cit.*, ასევე, იხ. ვენეციის კომისიის დასკვნა, CDL-AD(2021)050, *op. cit.*, პუნქტები 32-33; და, [CDL-AD\(2021\)029](#), *op. cit.*, 36-38.

<sup>36</sup> მათ შორის, იხ., ECtHR, *Hämäläinen v. Finland* [GC], 2014 წლის 16 ივლისი, საჩივარი no. 37359/09, პ. 68.

<sup>37</sup> ECtHR, *A.P., Garçon and Nicot v. France*, *op. cit.*, პუნქტები 95-96. ასევე, იხ., ECtHR, *A.D. and Others v. Georgia*, 2022 წლის 1 დეკემბერი, საჩივრები nos. 57864/17, 79087/17 და 55353/19, ECtHR, *X and Y v. Romania*, 2021 წლის 19 იანვარი, საჩივრები nos. 2145/16 და 20607/16.

53. ამ მხრივ, ვენეციის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ საქმეში „ა.დ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“<sup>38</sup> ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია საქართველოში 1998 წლიდან არსებობს სამოქალაქო აქტის ჩანაწერებში გენდერის შეცვლის უფლება, როგორც ჩანს, იგი პრაქტიკაში არ ყოფილა გამოყენებული. არსებული არაზუსტი შიდა კანონმდებლობა ხელს უშლიდა პრაქტიკაში გენდერის სამართლებრივი აღიარების ხელმისაწვდომობას, და მკაფიო სამართლებრივი ჩარჩოს არ არსებობა ეროვნულ ორგანოებს უტოვებდა გადაჭარბებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, რასაც შეემლო გამოეწვია თვითნებური გადაწყვეტილებების მიღება განცხადებების განხილვისას. ასეთი სიტუაცია ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებოდა მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს სწრაფი, გამჭვირვალე და მისაწვდომი პროცედურები გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის.<sup>39</sup>

54. კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.4 მუხლი, შესაბამისად, პირდაპირ შეუთავსებელია იმასთან, რასაც ევროპული სასამართლო ითხოვს ამ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებაში, რადგან ნათელია, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარება არ მხოლოდ არ არის ხელმისაწვდომი, არამედ, სამართლებრივად აიკრძალება.

55. ამას გარდა, თავის წინა დასკვნაში<sup>40</sup> ვენეციის კომისია შემფოთებით აღნიშნავს, რომ სქესის შეცვლის არ-აღიარებამ შესაძლოა გამოიწვიოს დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით, რაც არღვევს ადამიანის უფლებათა შესაბამის საერთაშორისო ნორმებს, განსაკუთრებით, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ პუნქტს ევროპული კონვენციის მე-14 მუხლში, კონვენციის მე-12 დამატებით ოქმს, CRC კონვენციის 2, 3, 24 (3) მუხლებს, CEDAW კონვენციის მე-5 და მე-2 (f) მუხლებს, CESC-ის მე-2 მუხლს, ICCPR-ის მე-2 მუხლს. ამ თვალსაზრისით, ევროპულ სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს თანმიმდევრული იურისპრუდენცია, რომელიც მომჩივნებს, რომლებიც დაექვემდებარნენ სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციას, აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვონ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევის დადგენა, კონვენციით გათვალისწინებულ სხვა მატერიალურ უფლებასთან ერთობლიობაში.<sup>41</sup>

56. ამრიგად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, ამოღებული იქნეს კანონპროექტის 1.4 მუხლის ბოლო ფრაზა (რომელიც შეესაბამება გენეტიკურ მონაცემებს) და შეიქმნას საკმარისად დეტალური და ზუსტი კანონი, რომელიც გაითვალისწინებს სწრაფ, გამჭვირვალე და მისაწვდომ პროცედურებს ტრანსგენდერი ადამიანების რეგისტრირებული გენდერული მარკერის შესაცვლელად.

**5. ბათილია საჯარო ხელისუფლების ან კერძო პირის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებას პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზღუდავს.**

57. ვენეციის კომისია გარკვეულ სირთულეებს წააწყდა ამ დებულების მნიშვნელობის გააზრების კუთხით. კერძოდ, პირველ რიგში, ბუნდოვანია, თუ რას ნიშნავს ფრაზა „პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზღუდავს სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების

<sup>38</sup> ECtHR, *A.D. and Others v. Georgia*, *op. cit.*

<sup>39</sup> ECtHR, *A.D. and Others v. Georgia*, *op. cit.*, პუნქტები 73-76.

<sup>40</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)050](#), *op. cit.*, პუნქტები 34 და 36; და [CDL-AD\(2021\)029](#), პუნქტები 39 და 41.

<sup>41</sup> ECtHR, *X and Others v. Austria* [GC], *op. cit.*; ECtHR, *Taddeucci and McCall v. Italy*, 2016 წლის 30 ივნისი, საჩივარი no. 51362/09; ECtHR, *Sousa Goucha v. Portugal*, 2016 წლის 22 მარტი, საჩივარი no. 70434/12.

გამოყენებას“; მეორე, ბუნდოვანია, თუ რა იქნება ამ დებულების სამართლებრივი შედეგი, ე.ი., ვინ დაადგენს გადაწყვეტილების ბათილობას და რა ქმედება განხორციელდება იმ საჯარო ორგანოს ან კერძო პირის მიმართ, ვინც ამ დებულებას დაარღვევს; და მესამე, რა არის ამ დებულების მოქმედების სფერო, კერძოდ, როგორ გავრცელდება ეს დებულება კერძო პირზე.

58. პირველ საკითხთან დაკავშირებით, ონლაინ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციისა და განმარტებით ბარათში წარმოდგენილი გარკვეული ელემენტების საფუძველზე, როგორც ჩანს, ინიციატორების/ავტორების ინსპირაციის წყაროს წარმოადგენს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ცოტა ხნის წინ მიღებული დასაქმებულთა სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც დასაქმებულებმა თავი უნდა შეიკავონ „ისეთი ტერმინების გამოყენებისგან, როგორიცაა „ბიჭები“, „ქალბატონები და ბატონები“, „დედა/მამა“, „ბიჭი შვილი/გოგო შვილი“, „ცოლი/ქმარი“ და მათ ნაცვლად, გამოიყენონ გენდერულად ნეიტრალური სიტყვები „ყველა“, „ადამიანები“, „თქვენ ყველა“, „მშობელი“, „შვილი“, „მეუღლე“, „პარტნიორი“.

59. შესაბამისად, როგორც ჩანს, ეს დებულება არ კრძალავს გენდერულად ნეიტრალური ან გენდერულად ინკლუზიური სიტყვების გამოყენებას, როგორც ასეთი, არამედ მისი მიზანია, მოახდინოს ისეთი სახელმძღვანელო პრინციპების, ინსტრუქციების და ზოგადად, პოლიტიკის დოკუმენტების მიღების პრევენცია, რომელიც ახალისებს გენდერულად ნეიტრალური ან გენდერულად ინკლუზიური ენის გამოყენებას.

60. რაც შეეხება მეორე საკითხს, ტექსტში არ არის განმარტებული, ავტომატური იქნება გადაწყვეტილებების ბათილობა, თუ გარკვეული პროცედურის საშუალებით გამოცხადდება ეს. ტექსტი არ აკონკრეტებს, თუ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ამას სახელმწიფო ორგანოსთვის ან კერძო პირისთვის, რომელიც ამ დებულებას დაარღვევს, ე.ი., მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ზღუდავს სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებას. ონლაინ შეხვედრების დროს, კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორებმა/ავტორებმა განმარტეს, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტის ამ დებულების ან რომელიმე სხვა დებულების დარღვევა, გარდა მე-3 პუნქტისა, იქნება სისხლის სამართლის დანაშაული და დაექვემდებარება ადმინისტრაციულ ჯარიმას, რომელსაც სათანადო წესით განსაზღვრავს ნორმატიული კანონმდებლობა.

61. რაც შეეხება მესამე საკითხს, დებულებას, როგორც ჩანს, ფართო მოქმედების არეალი აქვს და იგი ეხება არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს, არამედ, ასევე, კერძო პირებს, სავარაუდოდ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

62. ვენეციის კომისია იმეორებს, რომ კანონები შედგენილი უნდა იყოს გასაგებად, ხოლო კანონის განჭვრეტადობის პრინციპი ითხოვს, რომ კანონი ფორმულირებული უნდა იყოს საკმარისი სიზუსტითა და მკაფიოობით, რათა სამართლის სუბიექტებმა შეძლონ თავიანთი ქცევის კანონთან შესაბამისობაში დარეგულირება.<sup>42</sup> განჭვრეტადობის დონე განსხვავდება კანონის ხასიათის მიხედვით და მას უფრო მეტი მოქნილობა ახასიათებს კონსტიტუციური დებულებების შემთხვევაში, თუმცა, სამართლის უზენაესობა ითხოვს განჭვრეტადობის პრინციპის დაცვას.<sup>43</sup> შესაბამისად, განსახილველ დებულებასთან მიმართებით საჭიროა მისი მნიშვნელობის, შედეგებისა და მოქმედების სფეროს მკაფიოდ განსაზღვრა. შესაძლებელია, რომ დებულების მოქმედების სფერო და შედეგები განისაზღვროს ნორმატიულ

<sup>42</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2016\)007](#), *op. cit.*, პ. 58; და ECtHR, *The Sunday Times v. the United Kingdom*, 1979 წლის 26 აპრილი, საჩივარი no. 6538/74, პ. 49.

<sup>43</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2016\)007](#), *op. cit.*, პ. 59.

კანონმდებლობაში, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული დებულებები კონსტიტუციური დებულებებია, ამ ბუნდოვანი წინადადების მნიშვნელობის ნათლად განსაზღვრა კონსტიტუციური ტექსტის გააზრებას შეუწყობს ხელს და შესაბამისად, მიზანშეწონილია. უფრო მეტი სიზუსტე, აგრეთვე, ხელს შეუწყობს უფრო ეფექტურ კონსულტაციას, რაზეც მითითებულია ზემოთ.

63. პირველ რიგში, ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ (სპეციფიკური) ენის, გრამატიკის ან მართლწერის გამოყენება სახელმწიფო ადმინისტრაციაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. სახელმწიფოები არ არიან სამართლებრივი თვალსაზრისით ვალდებული, გამოიყენონ ან შემოიღონ გენდერულად ნეიტრალური ენა. თუმცა, ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო სექსიზმთან ბრძოლისა და პრევენციის შესახებ რეკომენდაცია,<sup>44</sup> რომელშიც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, განახორციელონ „ყველა კანონის, რეგულაციის, პოლიტიკის და ა.შ. სისტემატური გადახედვა, სექსისტური ენის, გენდერული ვარაუდებისა და სტერეოტიპების გამოსავლენად, რათა ისინი ჩანაცვლდეს გენდერულად სენსიტიური ტერმინოლოგიით. კარგი პრაქტიკა მოიცავს იმ ენისა და კომუნიკაციის პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადებას, რომელიც არა-სექსისტურია და არ შეიცავს გენდერულ სტერეოტიპებს, საჯარო ადმინისტრირების დოკუმენტებში გამოსაყენებლად“. როგორც ჩანს, მოცემული დებულება ამ რეკომენდაციასთან წინააღმდეგობაშია; სულ მცირე, საკითხავია, თუ საერთოდ რამდენად მიზანშეწონილია ამ სახის აკრძალვის კონსტიტუციურ დებულებაში გათვალისწინება. ეს პუნქტი უნდა წაიშალოს ან ფორმულირდეს იმგვარად, რაც დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს შეესაბამება.

64. კერძო პირებთან (ან ორგანიზაციებთან) დაკავშირებით წამოიჭრება კითხვა, წარმოადგენს თუ არა გენდერულად ნეიტრალური ენის გამოყენება ადამიანის უფლებების დარღვევას. კონვენცია არ უზრუნველყოფს ლინგვისტურ თავისუფლებას, როგორც ასეთი.<sup>45</sup> ამავდროულად, თუ დებულების მიზანია შეზღუდოს/აკრძალოს გენდერულად ნეიტრალური ენის გამოყენება კერძო პირების მიერ, აღნიშნული წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევას (ECHR-ის მე-10 მუხლი) და მოითხოვს შესაბამის დასაბუთებას. ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, მკაფიო, ზუსტი, მისაწვდომი და განჭვრეტადი ფორმით, იგი უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს და უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოცემულ შემთხვევაში, ნათელია, რომ პირველი მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული და მაშინაც კი, თუ ჩავთვლით, რომ ნორმატიული კანონმდებლობით განიმარტება ეს დებულება, რთული იქნება დავინახოთ, თუ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება ეს ბუნდოვანი დებულება და რატომ არის იგი აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. შესაბამისად, უაღრესად საეჭვოა ამ დებულების ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან შესაბამისობა.

65. იგივე მიზეზების გამო, იმდენად, რამდენადაც დებულებას შეუძლია ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და ასოციაციებს ხელი შეუშალოს გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკის გატარებაში ან გენდერულად ინკლუზიური ენის გამოყენებაში, იგი შესაძლოა გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევად იქნეს მიჩნეული, რისი გამართლებაც შეუძლებელი იქნება კონვენციის მე-11 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით (კანონით გათვალისწინებული,

<sup>44</sup> ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 წევრი სახელმწიფოების მიმართ, სექსიზმთან ბრძოლის და პრევენციის შესახებ, 2019 წლის 27 მარტი.

<sup>45</sup> ECtHR, *Igors Dmitrijevs v. Latvia*, 2006 წლის 30 ნოემბერი, საჩივარი no. 61638/00, პ. 85; ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია (Eur.Com.HR) გადაწყვეტილება *Pahor v. Italy*, 1994 წლის 19 ივნისი, საჩივარი no. 19927/92; Eur.Com.HR გადაწყვეტილება, *Association "Andecha Astur" v. Spain*, 1997 წლის 7 ივლისი, საჩივარი no. 34184/96; Eur.Com.HR გადაწყვეტილება *Fryske Nasjonale Partij and Others v. the Netherlands*, 1985 წლის 12 დეკემბერი, საჩივარი no. 11100/84; Eur.Com.HR გადაწყვეტილება *Isop v. Austria*, 1962 წლის 8 მარტი, საჩივარი no. 808/60.

ზუსტი, მისაწვდომი და განჭვრეტადი, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში). კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ჩარევის ამგვარად დასაბუთების შესაძლებლობა საეჭვოა.

66. ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, რომ ამოღებული იქნეს ეს დებულება ან მოხდეს მისი ფორმულირება დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების გათვალისწინებით.

**6. აკრძალოს იმგვარი შეკრება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვნის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.**

და

აკრძალულია იმგვარი შინაარსის ნაწარმოების, პროგრამის ან სხვა მასალის გავრცელება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვნის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

67. მე-6 პუნქტი კრძალავს შეხვედრებს, რომელთა მიზანია სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასთან და ზოგადად, გენდერთან დაკავშირებულ საკითხებთან და ასევე, ინცესტთან დაკავშირებული გარკვეული კონტენტის „პოპულარიზაცია“. მე-7 პუნქტი კრძალავს ისეთი მასალების გავრცელებას, რომელიც ახდენს ამავე საკითხებთან დაკავშირებული სპეციფიკური კონტენტის პოპულარიზაციას. ვინაიდან ლეგიტიმურ შეზღუდვებთან დაკავშირებული პრობლემები დიდწილად იდენტურია, ეს ორი დებულება ერთადაა განხილული.

#### a. წინასწარი შენიშვნები

68. დებულებაში სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული კონცეფციები ჩამონათვალში გაერთიანებულია ინცესტთან, თითქოს, ისინი ერთსა და იმავე ჯგუფს მიეკუთვნება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინცესტი არის ახლო ნათესავეებს შორის სქესობრივი კავშირი, რომლებსაც კანონით ეკრძალებათ დაქორწინება, როგორცაა, მშობელი, ბავშვი, და (ძმა), შვილიშვილი და ა.შ., და ხშირად დანაშაულად მიიჩნევა და ძლიერი ნეგატიური კონოტაცია აქვს. კომისიის მოსაზრებით, აღნიშნულს არაფერი აქვს საერთო სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის კონცეფციებთან, რომლებიც აღიარებულია, როგორც დისკრიმინაციის აკრძალული ნიშნები.

69. ვენეციის კომისიამ წინა დასკვნებში პედოფილიის შესახებ<sup>46</sup> აღნიშნა, რომ ამ სახის კანონმდებლობა „ინსინუირებს, რომ სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა დაკავშირებულია ბავშვთა უფლებების დარღვევასთან. ორივე დამამცირებელი,

<sup>46</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)050](#), *op. cit.*, პუნქტები 25-26; ასევე, იხ., ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2013\)022](#), *op. cit.*, დასკვნა ე.წ. „ჰომოსექსუალობის პროპაგანდის“ აკრძალვის საკითხებზე, ევროპის საბჭოს ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ბოლო დროს მიღებული კანონმდებლობების გათვალისწინებით, პ.23.



მასტიგმატიზებული და დისკრიმინაციულია.“ ჩანს, რომ ცვლილება ეყრდნობა პირობას, რომ „ჰომოსექსუალობა“ და მრავალფეროვანი გენდერული იდენტობა ახდენს ახალგაზრდების გარყვნას, აზიანებს საზოგადოებას და სახელმწიფოს და ამიტომ, საჭიროებს წინააღმდეგობის გაწევას; შესაბამისად, „ჰომოსექსუალობის და სქესის შესაბამისი თვითიდენტობისგან განსხვავებულობა“ უნდა აიკრძალოს ან შეიზღუდოს.<sup>47</sup> ამ თვალსაზრისით, ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ბაიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ ჰომოსექსუალობასა და პედოფილიას შორის პარალელების გავლების მცდელობები იყო „მიუღებელი“.<sup>48</sup>

70. იგივე მსჯელობა მოქმედებს მოცემულ დებულებასთან დაკავშირებითაც, ვინაიდან ტერმინ „პედოფილიას“ ტერმინ „ინცესტის“ მსგავსი ნეგატიური კონოტაცია და სიმძიმე აქვს. შესაბამისად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, ამოღებული იქნეს ტერმინი „ინცესტი“ ტექსტიდან და ქცევის რეგულირება მოხდეს ცალკე, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

71. მე-6 პუნქტი, რომელიც კრძალავს „შეკრებებს“, ზღუდავს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას (კონვენციის მე-11 მუხლი) და კერძო ასპექტთან დაკავშირებით, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას (კონვენციის მე-8 მუხლი). ამას გარდა, მე-6 და მე-7 პარაგრაფები კრძალავს შეკრებებსა და ისეთი მასალების გავრცელებას, რომელთა მიზანიც გარკვეული კონცეფციების პოპულარიზებაა, რაც ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებასა და ადამიანის თავისუფლებას, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად (კონვენციის მე-10 მუხლი). ყველა შეზღუდვა „გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით“, უნდა ემსახურებოდეს ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც ამომწურავად არის იდენტიფიცირებული, შესაბამისად, კონვენციის მე-11, მე-8 და მე-10 მუხლების მეორე პუნქტებში და „უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“

72. ამ მოთხოვნების გაანალიზებამდე, ვენეციის კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საგანი შესაძლოა სენსიტიურ მორალურ ან ეთიკურ საკითხებთან იყოს დაკავშირებული, თუმცა, ხელისუფლება შეფასების ვიწრო არეალით სარგებლობს, რადგან საკითხები ეხება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე გამოხატვის თავისუფლებას,<sup>49</sup> ხოლო ევროპულმა კონვენციამ ცალსახად დაადგინა, რომ არსებობს მკაფიო ევროპული კონსენსუსი, რომლის მიხედვითაც აღიარებულია ადამიანების უფლება, ღიად მოახდინოს იდენტიფიცირება გეიდ, ლესბოსელად ან სხვა სექსუალურ უმცირესობად და მხარდაჭერილია მათი უფლებები და თავისუფლებები.<sup>50</sup>

## b. კანონით გათვალისწინებული

73. პირველ მოთხოვნასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ორივე დებულება ფართო და არაზუსტ ფორმულირებას შეიცავს.

<sup>47</sup> ვენეციის კომისია, *ibid.*

<sup>48</sup> *ib.* ECtHR, *Bayev and Others v. Russia*, *op. cit.*, პ. 69; ასევე, *ib.* ევროპარლამენტის 2021 წლის 8 ივლისის რეზოლუცია of, პ. 17: „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის პედოფილიასთან ან ბავშვის უფლებებზე თავდასხმასთან გაერთიანება აჩვენებს ადამიანის უფლებათა ენის ინსტრუმენტალიზების მკაფიო მცდელობას, დისკრიმინაციული პოლიტიკის ასამოქმედებლად; აღნიშნული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპებს და ნორმებს ეწინააღმდეგება.“

<sup>49</sup> ECtHR, *Stoll v. Switzerland* [GC], 2007 წლის 10 დეკემბერი, საჩივარი no. 69698/01, პ. 106; ECtHR, *Castells v. Spain*, 1992 წლის 23 აპრილი, საჩივარი no. 11798/85, პ. 43; ECtHR, *Wingrove v. the United Kingdom*, 1996 წლის 25 ნოემბერი, საჩივარი no. 17419/90, პ. 58.

<sup>50</sup> ECtHR, *Bayev and Others v. Russia*, *op. cit.*, პ. 66.

- მე-6 პუნქტში ტერმინი „შეკრება“ მოიცავს ყველა სახის შეკრებებს, რომელსაც ადგილი აქვს როგორც საჯარო სივრცეში, ისე ნახევრად საჯარო სივრცეში (როგორცაა, სავაჭრო ცენტრები ან რკინიგზის სადგურები) ან კერძო სივრცეში. აგრეთვე, არ არის მითითებული შეკრების მასშტაბი, რის გამოც იგი პოტენციურად შესაძლოა მოიცავდეს როგორც ორ ადამიანს შორის შეხვედრას, ისე შეკრებას რამდენიმე ათასი ადამიანის მონაწილეობით.
- მე-7 პუნქტიც ღია და ბუნდოვან ფორმულირებას მოიცავს. იგი ეხება ყველა ნაწარმოებს, პროგრამას თუ სხვა მასალას, როგორცაა, წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, ლიფლეტები, რადიო და სატელევიზიო პროგრამები, ბლოგები ან ონლაინ გვერდები, სიმღერები, ხელოვნების ნიმუშები, მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, წარმოდგენები და ა.შ.
- ორივე პუნქტი უთითებს გარკვეული კონტენტის „პოპულარიზაციაზე“, რაც ასევე ღია ფორმულირებას წარმოადგენს. არც თავად კონსტიტუციური კანონის პროექტი და არც განმარტებითი ბარათი არ შეიცავს ამ ტერმინის ზუსტ განმარტებას. ონლაინ შეხვედრების დროს, რამდენიმე მონაწილემ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ არ არსებობს ქართული სასამართლოების მიერ კარგად დადგენილი პრაქტიკა ამ ცნების განმარტებასთან დაკავშირებით. ამ სიტყვის მნიშვნელობა, შესაძლოა, მოიცავდეს ტერმინს „ხელშეწყობა“ („promote“), რომელიც უკვე გამოიყენება მსგავს კანონ(პროექტ)ებში ე.წ. „ჰომოსექსუალიზაციის პოპულარიზაციის“ აკრძალვის შესახებ, სხვა ქვეყნებში (რუსეთი, უნგრეთი, უკრაინა, მოლდოვის რესპუბლიკა).<sup>51</sup> არ არის მკაფიო, ეს ტერმინი ვიწროდ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, თუ მოიცავს ნებისმიერ ინფორმაციას ან აზრს, რომელიც ემხრობა ერთნაირსქესიანთა ოჯახს ან ინტიმურ ურთიერთობებს, ნებისმიერ მცდელობას, შეიცვალოს მოსახლეობის ნაწილის მტრული დამოკიდებულებები ლგბტი ადამიანების მიმართ, ნებისმიერ მცდელობას, დააბალანსოს ზოგჯერ ღრმად ფესვადგმული წინასწარგანწყობები ლგბტი საკითხებზე მიუკერძოებელი და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის გავრცელების გზით.<sup>52</sup> ნაცვლად ამისა, აღნიშნული დებულებები ბლანკეტური ხასიათის ჩანს.
- ბუნდოვანია „აკრძალვის“ მნიშვნელობა და აკრძალვასთან შეუსაბამობის შედეგები. ონლაინ შეხვედრების დროს, კანონპროექტის ინიციატორებმა/ავტორებმა განმარტეს, რომ შეუსაბამობა სანქციის სახით დაექვემდებარება ადმინისტრაციულ ჯარიმას, რომელიც განისაზღვრება ნორმატიულ კანონში.

74. იმისათვის, რომ შესრულდეს შეზღუდვის „კანონით გათვალისწინებულების“ პირობა, ევროპული სასამართლოს კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, დებულება უნდა იყოს ფორმულირებული საკმარისი სიზუსტით, რათა მოქალაქეებმა საკუთარი ქცევის რეგულირება შეძლონ: მათ უნდა შეძლონ - საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კონსულტაციის საფუძველზე - განჭვრიტონ იმ ხარისხით, რომელიც გონივრული იქნება მოცემულ გარემოებებში, კონკრეტული ქმედების შედეგები.

75. ვენეციის კომისიამ არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ზედმეტად ფართო და პოტენციურად ბუნდოვანი ტერმინები თუ კონცეფციები არ არის ზუსტი, ხოლო სიზუსტე აუცილებელია

<sup>51</sup> იხ., ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2013\)022](#), *op. cit.*

<sup>52</sup> ასევე, იხ., ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2013\)022](#), *op. cit.*, პ. 34.

სამართლებრივი ტექსტებისთვის. ამან შესაძლოა გამოიწვიოს განსხვავებული და პოტენციურად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციები. ამას გარდა, ასეთი ტერმინები ქმნის რისკს, რომ მათი გამოყენება მოხდება გამოხატვისა და შეკრების უფლებების არაპროპორციულად შეზღუდვისთვის და შეუთავსებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საერთაშორისო სტანდარტებთან.<sup>53</sup>

76. შესაბამისად, მოცემული დებულებები, როგორც ასეთი, საკმარისად ვერ ასრულებს კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებთან შესაბამისობის სამნაბიჯიანი ტესტის პირველ მოთხოვნას. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ ეს კონსტიტუციური დებულებებია, რომლებიც შესაძლოა უფრო დეტალურად განიმარტოს ნორმატიულ კანონმდებლობაში, როგორც ეს აღნიშნა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ონლაინ შეხვედრაზე, ვენეციის კომისია გააანალიზებს მათ შესაბამისობას ზემოთ იდენტიფიცირებულ დამატებით მოთხოვნებთან.

### c. ლეგიტიმური მიზანი / აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

77. კანონპროექტის სათაურში გაცხადებული ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განმარტებით ბარათშიც მეორდება, მდგომარეობს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანების დაცვაში. მიზანი, ცალკე აღებული, შესაძლოა ლეგიტიმურად ჩაითვალოს, რადგან იგი ხვდება მორალისა და სხვების უფლებების დაცვის ფარგლებში, კანონპროექტი და მისი განმარტებითი ბარათი ვერ განმარტავენ, თუ მოცემული აკრძალვები როგორ ემსახურება აღნიშნულ მიზანს.

78. ზემოთ ციტირებულ საქმეში „ბაიევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“,<sup>54</sup> ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საკანონმდებლო აკრძალვის დაწესება არასრულწლოვანებისკენ მიმართული სექსუალური ურთიერთობების პროპაგანდაზე საზიანოა ბავშვებისთვის, დისკრიმინაციულია და არღვევს კონვენციის მე-10 მუხლს და მე-14 მუხლს მე-10 მუხლთან ერთობლიობაში.<sup>55</sup> ევროპული სასამართლო მნიშვნელოვანწილად დაეყრდნო და მოიყვანა ფართო ციტატები ვენეციის კომისიის დასკვნიდან, რომელიც ეხება ე.წ. „ჰომოსექსუალობის პროპაგანდის“ აკრძალვის საკითხს.<sup>56</sup>

79. რაც შეეხება მორალზე მითითებით გამართლებას, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც მიჩნეული უნდა იქნეს, რომ ოჯახური ღირებულებების, როგორც საზოგადოების ფუნდამენტის დაცვა და ჰომოსექსუალობის სოციალური მიუღებლობის აღიარება ერთმანეთთან შეუთავსებელია, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს მზარდი ზოგადი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ერთნაირსქესიან წყვილთა ურთიერთობები „ოჯახური ცხოვრების“ კონცეფციის ფარგლებში განიხილება.<sup>57</sup> ევროპულმა სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ ნეგატიური სოციალური დამოკიდებულებები, კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ ტრადიციებზე ან ზოგად ვარაუდებზე მითითება, როგორც ასეთი, ვერ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობის

<sup>53</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)050](#), *op. cit.*, პ. 48. ასევე, იხ., ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2016\)025](#), ერთობლივი დასკვნა ყირგიზეთის რესპუბლიკის კანონპროექტის შესახებ „კონსტიტუციაში ცვლილებების და შესწორების შეტანის თაობაზე“, პ. 31; და ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2018\)002](#), ერთობლივი დასკვნა სომხეთის სინდისის თავისუფლების და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე, პ. 44.

<sup>54</sup> ECtHR, *Bayev and Others v. Russia*, *op. cit.*

<sup>55</sup> ასევე, იხ., ECtHR, *Alekseyev v. Russia*, 2010 წლის 21 ოქტომბერი, საჩივრები nos. 4916/07 25924/08 14599/09.

<sup>56</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2013\)022](#), *op. cit.*

<sup>57</sup> ECtHR, *Bayev and Others v. Russia*, *op. cit.*, პ. 67.

საკმარის დასაბუთებად, მსგავსად ნეგატიური დამოკიდებულებებისა განსხვავებული რასის, წარმომავლობის ან კანის ფერის ადამიანების მიმართ.<sup>58</sup>

80. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციური კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები, ასევე, შეუთავსებელია კონვენციის მე-12 ოქმის პირველ მუხლთან და მე-14 მუხლთან, კონვენციის მე-8, მე-10 და მე-11 მუხლებთან ერთად, რადგან აღნიშნული დებულებები მოიცავს განსხვავებულ მოპყრობას, ერთის მხრივ, ჰომოსექსუალობის და ტრანსგენდერული იდენტობის ხელშეწყობის და მეორეს მხრივ, ჰეტეროსექსუალობის ხელშეწყობის მიმართ, ყოველგვარი დამაჯერებელი დასაბუთების გარეშე. როგორც ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, თუ განსხვავებული მოპყრობა ხორციელდება სქესის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების არეალი არის ვიწრო.<sup>59</sup>

81. ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს შესაძლოა ჰქონდეთ უარყოფითი დამოკიდებულება ლგბტი ადამიანების მიმართ, როგორც ეს აღინიშნა შეხვედრის ზოგიერთი მონაწილის მიერ, ვერ განსაზღვრავს პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად შეესაბამება კონსტიტუციური კანონის პროექტი საერთაშორისო სტანდარტებს. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ კონვენციის ღირებულებებთან შეუთავსებელი იქნება, თუ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება უმცირესობის ჯგუფის მიერ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მისაღებია ეს ჯგუფი უმრავლესობისთვის. ასე რომ იყოს, რელიგიის, გამოხატვის და შეკრების თავისუფლება უმცირესობების შემთხვევაში მხოლოდ თეორიული იქნებოდა, ნაცვლად პრაქტიკულისა და ეფექტურისა, რასაც ითხოვს კონვენცია.<sup>60</sup> აღნიშნულის მსგავსად, ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ „საზოგადოების თუნდაც დიდი ნაწილის ნეგატიური დამოკიდებულება ჰომოსექსუალობის მიმართ, როგორც ასეთი, ვერ გაამართლებს შეზღუდვის დაწესებას გეი და ლესბოსელი ადამიანების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე ან მათ თავისუფლებაზე, იყვნენ თავიანთი სექსუალური ორიენტაციის ერთგულები საჯაროდ, ადვოკატირება გაუწიონ პოზიტიურ იდეებს ჰომოსექსუალობასთან მიმართებით და ხელი შეუწყონ ტოლერანტობას ჰომოსექსუალების მიმართ.“<sup>61</sup> ამ მხრივ, ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ „თავის CM/Rec(2010)5 რეკომენდაციაში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიჩნია, რომ ვერც კულტურული, ტრადიციული ან რელიგიური ღირებულებები და ვერც „დომინანტური კულტურის“ წესები ვერ იქნება გამოყენებული სიძულვილის ენის ან დისკრიმინაციის რაიმე სხვა ფორმის გასამართლებლად, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით.“<sup>62</sup>

82. პირიქით, ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ ევროპული სასამართლოს კარგად დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს პოზიტიური ზომები, რათა ლგბტი ადამიანთა უფლებებისა და თანასწორობის ხელშეწყობის დემონსტრაციები გაიმართოს მშვიდობიანად, ჰომოფობიური და მოძალადე კონტრდემონსტრანტების სათანადოდ შეკავების გზით.<sup>63</sup>

<sup>58</sup> ECtHR, Bayev and Others v. Russia, *ibid.*, პ. 68.

<sup>59</sup> ECtHR, X v. Poland, 2021 წლის 16 სექტემბერი, საჩივარი no. 20741/10, პ. 70.

<sup>60</sup> ECtHR, X v. Poland, 2021 წლის 16 სექტემბერი, *ibid.*, პ. 70.

<sup>61</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2013\)022](#), *op. cit.*, პ. 56. ასევე, იხ., ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)050](#), *op. cit.*, 56.

<sup>62</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2013\)022](#), *op. cit.*, პ. 56. ასევე, იხ., Venice Commission, [CDL-AD\(2021\)050](#), *op. cit.*, 56.

<sup>63</sup> ECtHR, Identoba and Others v. Georgia, 2015 წლის 12 მაისი, საჩივარი no. 73235/12; ECtHR, Alekseyev and Others v. Russia, *op. cit.*; ECtHR, Berkman v. Russia, 2020 წლის 1 დეკემბერი, საჩივარი no. 46712/15.

83. ამ გარემოებებში, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებით, ხელისუფლება ქმნის სტიგმისა და წინასწარგანწყობის გამყარებისა და ჰომოფობიის წახალისების რისკს, რაც შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თანასწორობის, პლურალიზმისა და ტოლერანტობის ცნებებთან.<sup>64</sup> არაერთი ევროპული სტანდარტი იმეორებს ამ პოზიციას.<sup>65</sup>

84. ამას გარდა, რაც შეეხება არასრულწლოვანთა დაცვის საფუძველს, კანონის მოქმედების სფერო ზედმეტად ინკლუზიურია, რადგან განსახილველი დებულებები არ შემოიფარგლება მხოლოდ უხამსობებით ან ერთნაირსქესიანთა შორის ურთიერთობების პროვოკაციული წახალისებით, არამედ, ჩანს, რომ ისინი ვრცელდება ინფორმაციისა და იდეების გავრცელებაზე, ერთნაირსქესიანი ურთიერთობებისა და განსხვავებული გენდერული იდენტობების მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულების ადვოკატირებაზე. ვენეციის კომისია მიუთითებს ევროპული სასამართლოს შეფასებაზე, რომლის მიხედვითაც არ არსებობს სამეცნიერო მტკიცებულება ან სოციალური მონაცემები, რომელიც ადასტურებს, რომ ჰომოსექსუალობის მხოლოდ ხსენებაც კი ან საჯარო დებატები სექსუალური უმცირესობების სოციალური სტატუსის შესახებ უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვებზე ან „მოწყვლად ზრდასრულებზე“, არამედ, მხოლოდ სამართლიანი და საჯარო დებატების საშუალებით შეუძლია საზოგადოებას ასეთი კომპლექსური საკითხების განხილვა.<sup>66</sup>

85. მსგავსად აღნიშნულისა, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა Fedotova-ს საქმეში სათანადოდ განასხვავა ერთმანეთისგან „ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს არასრულწლოვნების რაიმე სქესობრივ აქტივობაში ჩართვას“ და „[პირის] სექსუალური იდენტობის გამოხატვა“ ან „მის შესახებ სხვების ინფორმირების სურვილი“.<sup>67</sup> ვენეციის კომისია იმეორებს, რომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესში ვერ ჩაითვლება მათი დაცვა რელიგანტური და სათანადო ინფორმაციისგან სექსუალობის, მათ შორის, ჰომოსექსუალობის შესახებ.<sup>68</sup> ექვსი გასაფანტად, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნის ეს ასპექტი საქართველოს ხელისუფლებას არ უშლის ხელს, უზრუნველყოს ბავშვებისთვის განკუთვნილი მასალის მათი ასაკის და განვითარებისთვის შესაფერისობა. ის, რაც იმსახურებს კრიტიკას საერთაშორისო სამართლის პერსპექტივიან არის ამ ტიპის ბლანკეტური აკრძალვის შეთავაზება ყოველგვარი მტკიცებულებაზე დაფუძნებული დასაბუთების გარეშე.

86. და ბოლოს, რაც ასევე მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული უნდა იქნეს მოცემული კანონის მსუსხავი ეფექტი, რადგან არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების არასრულწლოვნებს შორის „პოპულარიზაციაზე“ დაწესებული აკრძალვა, სავარაუდოდ, ხელს შეუშლის ისეთ აქტივობებს, რომლებშიც შესაძლოა პირადად სურდეთ მონაწილეობის მიღება, განსაკუთრებით, თუ ისინი ლგბტი აქტივისტები არიან. ევროპულმა სასამართლომ

<sup>64</sup> ECtHR, *Bayev and Others v. Russia*, *op. cit.*, პ. 83.

<sup>65</sup> ასევე, იხ. PACE-ის რეზოლუცია 1948(2013), მიღებული 2013 წლის 27 ივნისს, „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლა“, და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ, მიღებული 2010 წლის 31 მარტს; რეკომენდაცია მოიცავს ფართო სფეროებს, სადაც ლგბტი ადამიანები შესაძლოა აწყდებოდნენ დისკრიმინაციას; იგი, აგრეთვე, ეხება მოთხოვნას, რომ სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ინფორმაციის მიღების და გაცემის თავისუფლებას იმ საკითხებზე, რომელიც ეხება სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას.

<sup>66</sup> ECtHR, *Alekseyev and Others v. Russia*, *op. cit.*, პ. 86.

<sup>67</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, *Fedotova v. Russian Federation*, კომუნიკაცია no. 1932/2010, კომიტეტის მიერ 106-ე სესიაზე მიღებული მოსაზრებები (2012 წლის 15 ოქტომბერი - 2 ნოემბერი), UN doc. CCCPR/C/106/D/1932/2010 (2012 წლის 30 ნოემბერი), პ. 10.8).

<sup>68</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2013\)022](#), *op. cit.*, პუნქტები 60-65. ასევე, იხ., ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)050](#), *op. cit.*, პუნქტები 59-61.

დაადგინა, რომ ისეთი კანონების შემოღება, რომელიც ითვალისწინებს სანქციებს, ცენზურას ან კრძალავს კიდევ გამოხატვას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, ბავშვების დაცვის მოტივით, არა მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებაზე ახდენს გავლენას რადგან იწვევს გარდაუვალ მსუსხავ ეფექტს, არამედ, ასევე, ახდენს ლგბტი ადამიანების სტიგმატიზებას მათი ასაკის მიუხედავად, ზღუდავს მშობლების უფლებას უზრუნველყონ შვილების აღზრდა თავიანთი რწმენის შესაბამისად და ზღუდავს ბავშვების უფლებას, მიიღონ ამომწურავი და ასაკის/განვითარების შესაფერისი ინფორმაცია სექსუალობის და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.<sup>69</sup>

87. კანონის პროექტის სახელწოდება - ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა - და მისი დებულებების შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ ოჯახური ცხოვრებისა და არასრულწლოვნების დაცვას საფრთხეს უქმნიან ის პირები, რომლებიც არ შეესაბამებიან გენდერული იდენტიფიკაციის ტრადიციულ ფორმებს და რომელთა სქესობრივი ურთიერთობები შესაძლოა განსხვავდებოდეს ტრადიციულისგან. ეს კომბინაცია იმ დამოკიდებულებების კიდევ უფრო გამყარების რეალურ და გარდაუვალ საფრთხეს ქმნის, რომლის მიხედვითაც არა-ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები არასრულფასოვანია და (კიდევ უფრო) გაამწვავებს მტრულ და მასტიგმატიზებელ ატმოსფეროს ლგბტი ადამიანების მიმართ საქართველოში.

88. ამრიგად, ვენეციის კომისიის დასკვნით, 1.6 და 1.7 მუხლები არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და შესაბამისად, ისინი არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რის გამოც აღარ არის საჭირო ამ შეზღუდვების პროპორციულობის შეფასება. ამრიგად, კომისიის რეკომენდაციას, ამოღებული იქნეს ეს დებულებები. როდესაც დებულება ცალსახად არ ემსახურება რაიმე ლეგიტიმურ მიზანს, მისი ხელახლა ფორმულირების ან მოდიფიცირების საკითხი არ წამოიჭრება.

**7. აკრძალულია საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესში იმგვარი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური და ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვნის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.**

89. კონსტიტუციური კანონპროექტის 1.8 მუხლი კრძალავს საგანმანათლებლო პროცესში ინფორმაციის მიწოდებას სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და უფრო ზუსტად, გენდერთან დაკავშირებული საკითხების, ისევე, როგორც ინცესტის შესახებ, რაც განმარტებითი ბარათის თანახმად, ვრცელდება ბაღიდან საშუალო სკოლამდე, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში, ოჯახური ღირებულებების და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

90. რაც შეეხება ინცესტის გათვალისწინებას, ვენეციის კომისია იმეორებს წინა სექციაში გამოხატულ მოსაზრებებს და გასცემს რეკომენდაციას ამ ტიპის სამართალდარღვევის ცალკე რეგულირებასთან დაკავშირებით.

<sup>69</sup> ECtHR, *Macatè v. Lithuania*, *op. cit.*, 3. 182.

91. რაც შეეხება გენდერულ საკითხებს, დებულება უნდა გაანალიზდეს ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის ჭრილში (განათლების უფლება), კონვენციის მე-14 მუხლთან და მე-12 ოქმის პირველ მუხლთან ერთობლიობაში.

92. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ დებულების ძირითადი ელემენტები („ინფორმაციის მიწოდება“ და „პოპულარიზება“) ფორმულირებულია ღიად, რაც ინტერპრეტაციის დაუშვებლად ფართო არეალს ტოვებს. ამას გარდა, არ არის წარმოდგენილი დებულება აკრძალვის დარღვევის (მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრატორების და ა.შ. მიერ) შედეგების შესახებ. განჭვრეტადობისა და პროგნოზირებადობის მიზნის დაკმაყოფილება მოითხოვს, რომ კანონი იყოს უფრო დეტალური. როგორც კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორებმა/ავტორებმა ონლაინ შეხვედრების დროს განაცხადეს, რომ დებულებები განხილული უნდა იქნეს, როგორც ზოგადი კონსტიტუციური პრინციპები, რომელთა შემდგომ განვითარებასაც უზრუნველყოფს ნორმატიული კანონმდებლობა, ხოლო შესაბამისი სანქცია შემოიფარგლება ადმინისტრაციული ჯარით.

93. ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ არ არსებობს მყარი კანონი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების უფლებას მიიღონ ინფორმაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის თემებზე. კომისიამ, აგრეთვე, ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთი ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ობიექტურად, კრიტიკულად და პლურალისტურად, ინდოქტრინაციის თავიდან აცილებითა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპთან შესაბამისობით, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით.<sup>70</sup> ამას გარდა, კომისია აღნიშნავს, რომ ევროპული სასამართლოს თანახმად, სახელმწიფო განათლების ერთ-ერთი მიზანია ბავშვის საზოგადოებრივი რეალობებისთვის მომზადება, რაც შესაძლოა ამართლებდეს ბავშვსა თუ დაწყებით სკოლებში მცირეწლოვანი ბავშვების სქესობრივ განათლებას.<sup>71</sup> ამავდროულად, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომისიის ეს მოსაზრება საქართველოს ხელისუფლებას არ უშლის ხელს იმაში, რომ უზრუნველყოს ბავშვისათვის განკუთვნილი მასალის ბავშვის ასაკისა და განვითარებისთვის შესაფერისობა.

94. წინა დასკვნებში ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ „სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია შესაძლოა გამყარებული იქნეს სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატულებისა და სქესობრივი მახასიათებლების სხვადასხვა ფორმების შესახებ ობიექტური ინფორმაციის სქესობრივი განათლების შესახებ კურიკულუმიდან გამორიცხვით, რაც შექმნის არა-უსაფრთხო და არა-მეგობრულ გარემოს, სადაც ლგბტი ბავშვები შესაძლოა დაექვემდებარონ ბულინგს, შევიწროებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საფრთხეებსაც კი.“<sup>72</sup>

95. ამას გარდა, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, განსაკუთრებით, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლი, და ამ სტანდარტებთან დაკავშირებული პრაქტიკა მხარს უჭერს ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიღებას სექსუალობის შესახებ, არადისკრიმინაციული ფორმით.<sup>73</sup>

<sup>70</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)050](#), *op. cit.*, პ. 39; და ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)029](#), *op. cit.*, პუნქტები 48 და 50.

<sup>71</sup> ECtHR, A.R. and L.R. v. Switzerland, 2017 წლის 19 დეკემბერი, საჩივარი no. 22338/15, პ. 44.

<sup>72</sup> ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)050](#), *op. cit.*, პუნქტები 78-80; და ვენეციის კომისია, [CDL-AD\(2021\)029](#), *op. cit.*, პუნქტები 49-50.

<sup>73</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი ორისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ ყველა უფლებას, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა სხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად (პუნქტი 1). მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას მიმართავენ ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრების

96. იმდენად, რამდენადაც მოცემული დებულება კატეგორიულად ართმევს მოსწავლეებს წვდომას ასაკის / განვითარების შესაბამის, ყოვლისმომცველ სქესობრივ განათლებასა და ობიექტურ ინფორმაციაზე სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატულების და სქესობრივი მახასიათებლების სხვადასხვა ფორმების შესახებ, უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლით და სხვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით, განსაკუთრებით CRC კონვენციის მე-2 მუხლით დაცულ განათლების უფლებას.

97. ამას გარდა, იმდენად, რამდენადაც დებულება განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს ერთის მხრივ, იმ ინფორმაციის მიმართ, რომლის მიზანიც არის ერთნაირსქესიანთა ოჯახის ან ინტიმური ურთიერთობების პოპულარიზაცია და მეორეს მხრივ, იმ ინფორმაციის მიმართ, რომლის მიზანიც არის ჰეტეროსექსუალური ოჯახის ან ინტიმური ურთიერთობების პოპულარიზაცია, უნდა ჩაითვალოს, რომ იგი არის დისკრიმინაციული და არღვევს კონვენციის მე-12 ოქმის პირველ მუხლს და კონვენციის მე-14 მუხლს, პირველი ოქმის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

98. შესაბამისად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, ამოღებული იქნეს ეს დებულება. კომისია აქაც მიუთითებს, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეზღუდვების დაწესება დაუშვებელია, არამედ, იგი განმარტავს, რომ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, დაუშვებელია სქესობრივ განათლებაზე აბსოლუტური აკრძალვის დაწესება, ხოლო ასეთი განათლების მიწოდების შემთხვევაში, აღნიშნული უნდა განხორციელდეს

სტატუსის, საქმიანობის, გამოთქმული შეხედულებების ან მრწამის საფუძველზე ყველა ფორმის დისკრიმინაციის ან დასჯისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად (პუნქტი 2).

კონვენციის მე-2 (1) მუხლით დადგენილი საფუძველები ასევე მოიცავს მოზარდების სექსუალურ ორიენტაციას და ჯანმრთელობის მდგომარეობას. მოზარდები, რომლებიც ექვემდებარებიან დისკრიმინაციას, უფრო დაუცველი არიან ძალადობის, სხვა სახის ბოროტად მოპყრობის და ექსპლუატაციისგან და მათი ჯანმრთელობა და განვითარება უფრო დიდი რისკის ქვეშაა. აქედან გამომდინარე, მათ აქვთ საზოგადოების ყველა სეგმენტის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების და დაცვის უფლება (იხ. CRC კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No4 [2003], მოზარდის ჯანმრთელობა და განვითარება ბავშვის უფლებათა კონვენციის კონტექსტში, პუნქტი 2). ამიტომ, მონაწილე სახელმწიფოებს კომიტეტი მოუწოდებს, (ა) შეიმუშაონ ეფექტური პრევენციული პროგრამები, მათ შორის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მოზარდთა კონტრაფეციასთან დაკავშირებული საჭიროებების და სხვა პრევენციის შესახებ კულტურული შეხედულებების შეცვლისკენ და იმ კულტურული და სხვა ტაბუებზე რეაგირებისკენ, რომელიც არსებობს მოზარდთა სექსუალობის გარშემო (CRC, GC No. 4 (2003), პუნქტში 26). აღსანიშნავია, რომ CRC კონვენციის 29-ე მუხლის თანახმად:

1. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან იმაზე, რომ ბავშვის განათლება გამიზნული უნდა იყოს იმისათვის, რათა:

- ა) ბავშვის პიროვნება, ნიჭი და გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები რაც შეიძლება სრული მოცულობით განვითარდეს;
- ბ) აღიზარდოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების პატივისცემა;
- გ) აღიზარდოს ბავშვში მშობლების, მისი კულტურული თავისთავადობის, ენისა და ღირებულებების, თავის საცხოვრებელი ქვეყნის, თავისი წარმომავლობის ქვეყნის და მისი საკუთრებისგან განსხვავებული ცივილიზაციების ღირებულებათა პატივისცემა;
- დ) ბავშვი მომზადდეს თავისუფალ საზოგადოებაში სეგნებული ცხოვრებისათვის გაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის, ყველა ხალხს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს, აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით;
- ე) აღიზარდოს გარემოსადმი პატივისცემის გრძნობა.

CRC კომიტეტის ზოგადი კომენტარი No. 1 (2001) მუხლი 29(1): „მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ განათლება მიმართული უნდა ეხებოდეს ღირებულებების ფართო სპექტრს. ეს შეთანხმება გადალახავს საზღვრებს, რომლებსაც ქმნის ერიგა, ეროვნულობა და კულტურა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. 29 (1) მუხლში გამოხატული მრავალფეროვანი ღირებულებები, შესაძლოა, გარკვეულ სიტუაციებში უპირისპირდებოდეს ერთმანეთს. შესაბამისად, ყველა ხალხს შორის ურთიერთგაგების, ტოლერანტობის და მეგობრობისკენ მიმართული ძალისხმევა, რომელზეც მიუთითებს 1(d) პუნქტი, შესაძლოა, ავტომატურად არ იყოს თავისებური სხვადასხვა პოლიტიკასთან, რომელიც 1(c) პუნქტის შესაბამისად, შექმნილია ბავშვში კულტურული თავისთავადობის, ენისა და ღირებულებების, თავის საცხოვრებელი ქვეყნის, თავისი წარმომავლობის ქვეყნის და მისი საკუთრებისგან განსხვავებული ცივილიზაციების ღირებულებათა პატივისცემის ჩამოყალიბებისთვის. ამავდროულად, ამ დებულების მნიშვნელობა ეფუძნება სწორედ იმას, რომ იგი აღიარებს განათლების მიმართ დაბალანსებული მიდგომის საჭიროებას, რომელიც წარმატებით უზრუნველყოფს მრავალფეროვან ღირებულებებს შორის ბალანსის მიღწევას, დიალოგისა და განსხვავებულების პატივისცემის საშუალებით. ამას გარდა, ბავშვებს შეუძლიათ შეასრულონ უნიკალური როლი იმ ბევრი განსხვავების დამაკავშირებელი ხიდების აშენების კუთხით, რომელიც ისტორიულად ერთმანეთისაგან აცალკევებს ადამიანთა ჯგუფებს“ (პუნქტი 4).



არადისკრიმინაციული ფორმით, თუმცა, ეს არ გამორიცხავს ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფას, რომ მასალა არის ასაკის და განვითარებისთვის შესაფერისი.

#### IV. დასკვნა

99. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის პრეზიდენტის მიმართვის საფუძველზე, ვენეციის კომისიამ შეაფასა საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ.

100. კონსტიტუციური კანონის პროექტი ორი მუხლისგან შედგება. მეორე მუხლში მითითებულია, რომ კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, ხოლო პირველი მუხლი ეხება მატერიალურ საკითხებს. ყველა მათგანი მიზნად ისახავს, დააწესოს შეზღუდვები სამართლებრივ ურთიერთობებზე, გარდა „გენეტიკურ მამაკაცს“ (რომელსაც დაბადებისას მიენიჭა მამრობითი სქესი) და „გენეტიკურ ქალს“ (რომელსაც დაბადებისას მიენიჭა მდედრობითი სქესი) შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა, მარტოხელა პირების შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის უფლებაზე და ყველა გენდერულ იდენტობაზე, გარდა ბიოლოგიური ქალისა და ბიოლოგიური კაცის გენდერული იდენტობისა. ტექსტი, აგრეთვე, კრძალავს ქმედებებს, შეკრებებს და ინფორმაციის ან პროდუქტების გაზიარებას, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კონცეფციას ან ხელს უწყობს ინცესტს.

101. კონსტიტუციური კანონის პროექტს თან ერთვის კონსტიტუციის 30-ე მუხლში კონსტიტუციური შესწორება, რომლის თანახმადაც აღნიშნულ მუხლს ემატება შემდეგი პუნქტი: „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“. 30-ე მუხლის მოქმედი ფორმულირება არის შემდეგი: „1. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. 2. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“.

102. პირველ რიგში, ვენეციის კომისია სინანულით აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიმართულია საქართველოს კონსტიტუციის ინტეგრირებისკენ და ეხება უაღრესად სენსიტიურ საკითხებს დაინიცირდა ისეთ პერიოდში, რომელიც ხასიათდება ძლიერი და ხანგრძლივი მასობრივი პროტესტებითა და ძლიერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი დამაბულობებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს ყოველივე ხდება არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, და უგულებელყოფილი იქნა რამდენიმე საერთაშორისო დამკვირვებლის მიერ გამოხატული შეშფოთებები.

103. დამატებით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, განხორციელდეს ახალი დებულებების ეროვნულ სისტემაზე ზემოქმედების ამომწურავი და კარგად დასაბუთებული ანალიზი, ამ დებულებების მიღებამდე, საზოგადოების ყველა სეგმენტის მონაწილეობით, განსაკუთრებით, სექსუალური და გენდერული უმცირესობების წარმომადგენლების, ისევე, როგორც ექსპერტებისა და პროფესიონალების შესაბამის სექტორიდან (სამართალი, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური ზრუნვა და ა.შ.). ასეთი ანალიზი უნდა იყოს საჯარო და უნდა განხორციელდეს ისეთ პერიოდში, რომელიც ხელსაყრელი იქნება ნამდვილი და მიუკერძოებელი კონსულტაციისთვის, ხელს შეუწყობს მოცემული საკითხების გულწრფელ და მიუკერძოებელ შეფასებას.

104. რაც შეეხება კონსტიტუციური კანონის პროექტის სამართლებრივ შეფასებას, მოცემულ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კარგად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლისა და ვენეციის კომისიის წინა დასკვნების გათვალისწინებით, კომისია მიიჩნევს, რომ მოცემული დებულებების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა ვერ დგინდება იმ მიზეზების გამო, რომლებიც წარმოდგენილია ზემოთ და ამ ტექსტის მიღების შესახებ შეთავაზებაც კი საფრთხეს ქმნის, რომ (კიდევ უფრო) გამძაფრდება მტრული და მასტიგმატიზებული ატმოსფერო ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ საქართველოში. ამრიგად, კომისიის რეკომენდაციაა, საქართველოს ხელისუფლებამ სრულად გადახედოს ამ საკანონმდებლო წინადადებას და არ გააგრძელოს მისი მიღების პროცესი.

105. ამავდროულად, თუ კონსტიტუციური კანონის პროექტი შენარჩუნდება, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა:

- კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.1 მუხლის შეცვლა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ერთნაირსქესიანი წყვილების იურიდიული აღიარება.
- სიტყვების „გენეტიკურად“ ამოღება 1.1 მუხლიდან.
- კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.2 მუხლში სიტყვა „ჰეტეროსექსუალის“ შეცვლა ტერმინით „მარტოხელა“ ან „ინდივიდი“.
- კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.3 მუხლის გაუქმება.
- კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.4 მუხლის პირველი ფრაზის (გენეტიკური მონაცემების შესაბამისად) გაუქმება და საკმარისად დეტალური და ზუსტი კანონის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ, გამჭვირვალე და მისაწვდომ პროცედურებს ტრანსგენდერი ადამიანების რეგისტრირებული გენდერული მარკეტის შეცვლისთვის.
- კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.5 მუხლის ამოღება ან მისი ხელახლა ფორმულირება, დისკრმინაციის აკრძალვის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- კონსტიტუციური კანონის პროექტის 1.6, 1.7 და 1.8 მუხლების ამოღება და ინცესტის ცალკე რეგულირება, სისხლის სამართალში.

106. ვენეციის კომისია გამოთქვამს მზადყოფნას ამ კუთხით შემდგომი დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებასა და საპარლამენტო ასამბლეას.